

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2011 წლის იანვარ-დეკემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღლოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2011 წლის იანვარ-დეკემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 7 436 560.1 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 6 442 307.7 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 189 820.3 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 69 502.5 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების ზრდით – 734 929.6 ათასი ლარი.

2011 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (6 442 307.7 ათასი ლარი) შეადგინა წლიური გეგმის (6 471 545.2) ათასი ლარი) 99.5%-;

მათ შორის:

– გადასახადების წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 775 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 5 801 989.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.5%;

– გრანტების წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 306 545.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 223 096.7 ათასი ლარი. მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 176 920.2 ათასი ლარი;

– 911.3 ათასი ლარი ჩარიცხა ხაზინის ერთიანი ანგარიშზე („გადაუღებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტი“) 2010 წელს დაშვებული ოვერდრაფტის დარჩენილი ნაწილის დასაფარავად;

– 267.2 ათასი ლარი ჩარიცხა ხაზინის ერთიანი ანგარიშზე („გადაუღებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტი“) დაშვებული ოვერდრაფტის დასაფარავად.

– ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 23 592.5 ათასი ლარი;

– ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხული „კაკასიის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის“ გრანტი – 175.7 ათასი ლარი;

– საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 15 425.1 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №1000 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში აისახა “საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 5 804.7 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული

თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპონენტი)” – 463.0 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)” – 201.1 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 122.9 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტი” – 997.4 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი – APL2” – 2 008.9 ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი” – 622.5 ათასი ლარი; „გადაუდებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტი” – 1 061.3 ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში” – 327.6 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების” წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 390 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 417 221.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 107.0%.

2011 წლის იანვარ-დეკემბერში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (189 820.3 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (170 000.0 ათასი ლარი) 111.7%.

„ფინანსური აქტივების კლებით” მიღებული შემოსულობების მოცულობამ (69 502.5 ათასი ლარი) შეადგინა წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობის (60 000.0 ათასი ლარი) 115.8%.

„ვალდებულებების” ზრდით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა – 734 929.6 ათასი ლარი, მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – 90 710.3 ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 644 219.3 ათასი ლარი; მათ შორის: შემოსულობა ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა – 77 434.8 ათასი ლარი; ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 64 203.8 ათასი ლარი; საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტებით – 502 580.7 ათასი ლარი, მათ შორის:

– 1 808.1 ათასი ლარი ჩაირიცხა ხაზინის ერთიანი ანგარიშზე (“რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება”) 2010 წელს დაშვებული ოვერდრაფტის დარჩენილი ნაწილის დასაფარავად;

– 838.3 ათასი ლარი ჩაირიცხა ხაზინის ერთიანი ანგარიშზე “მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი” დაშვებული ოვერდრაფტის დარჩენილი ნაწილის დასაფარავად;

– 2 807.8 ათასი ლარი ჩაირიცხა ხაზინის ერთიანი ანგარიშზე “ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამის (წყალმომარაგებისა და წყალანირების სექტორის პროექტი)” ხარჯების დასაფინანსებლად, რომელიც საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №1492 განკარგულების თანახმად, გადაერიცხება შ.პ.ს. „გაერთიანებული წყალმომარეგების კომპანიას რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ;

– 102.6 ათასი ლარი ჩაირიცხა ხაზინის ერთიანი ანგარიშზე 2011 წლის ოვერდრაფტის დასაფარავად;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 283 754.2 ათასი ლარი, მათ შორის: “ფრინველის გრიპის კონტროლის,

პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპონენტი)” – 290.6 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)” – 185.5 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტი” – 2 768.1 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი” – 78.8 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 34 913.6 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა” – 1 041.8 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი პირველი (ალაიანი-იგოეთი, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია)” – 9 231.1 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი” – 5 040.6 ათასი ლარი; “მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი” – 8 514.9 ათასი ლარი; „ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი” – 3 761.8 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი APL2” – 404.7 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი მეორე (იგოეთი-სვანეთი) პროექტი” – 9 488.8 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მესამე (სვანეთი-რუისი) პროექტი” – 101 261.3 ათასი ლარი; „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – მეორე ფაზა” – 12 532.4 ათასი ლარი; „ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი” – 6 635.6 ათასი ლარი; „ქ.ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა” – 77.9 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება” – 28 535.9 ათასი ლარი; „მდგრადი ურბანული განვითარების საინვესტიციო პროგრამა” – 27 615.9 ათასი ლარი; „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი” – 19 888.8 ათასი ლარი (მათ შორის 1 374.8 ათასი ლარი რეტროაქტიული წესით ანაზღაურებისათვის); „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი)” – 793.4 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია” – 10 692.7 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული ინვესტიციური კრედიტების მოცულობამ შეადგინა სულ 213 269.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 292 857.5 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

“ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი გრანტი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპონენტი)” – 319.6 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი გრანტი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)” – 255.4 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტი” გრანტი – 327.5 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი” გრანტი – 153.8 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი APL2” გრანტი – 2 109.7 ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი” გრანტი – 535.8 ათასი ლარი; „გადაუდებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტი” გრანტი – 1

791.8 ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში” გრანტი – 331.1 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი კრედიტი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპონენტი)” – 152.9 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი” (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპონენტი)” კრედიტი – 210.0 ათასი ლარი; “სოფლის განვითარების პროექტი” კრედიტი – 1 029.8 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” კრედიტი – 32 429.2 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა” კრედიტი – 1 103.7 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი პირველი (აღიანი-იგოეთი, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია)” კრედიტი – 5 696.7 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი” კრედიტი – 6 426.6 ათასი ლარი; “მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი” – 693.9 ათასი ლარი; „ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი” კრედიტი – 4 939.7 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი მეორე (იგოეთი-სვანეთი)” კრედიტი – 3 695.3 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მესამე (სვანეთი-რუისი)” კრედიტი – 89 870.9 ათასი ლარი; „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (II ფაზა) კრედიტი – 7 826.9 ათასი ლარი; „ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი” კრედიტი – 10 995.8 ათასი ლარი; „ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა” – 80.6 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება” კრედიტი – 29 895.3 ათასი ლარი; „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა” კრედიტი – 36 687.2 ათასი ლარი; „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი” კრედიტი – 43 829.2 ათასი ლარი; „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი)” – 793.4 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია” კრედიტი – 10 675.7 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, ინფორმაცია სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სსიპ-ებს დეკემბრის თვეში არცერთ პროექტზე არ წარმოუდგენიათ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2011 წლის იანვარ-დეკემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 2 461.8 ათასი ლარი.

წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 10 782.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2011 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 488 253.0 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 478 864.2 ათასი ლარი, ფულადი სახსრები აკრედიტით ანგარიშსწორებისათვის – 587.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 8 801.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2012 წლის 1 იანვრისათვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 135 162.1 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 128 149.7 ათასი ლარი, ფულადი სახსრები აკრედიტით ანგარიშსწორებისათვის – 189.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 6 659.8 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო კრედიტებით პროექტების დასაფინანსებლად – 163.1 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 11 552.3 ათასი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან 341 538.5 ათასი ლარი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის №1032 განკარგულების საფუძველზე „სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის მიზნით ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ გადატანილია სსფ-თან არსებული ვალდებულების ქვეანგარიშზე.

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 521.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2011 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 6 442 307.7 ათასი ლარის მოცულობით, (გეგმა – 6 471 545.2 ათასი ლარი); ხარჯმა შეადგინა 5 823 849.9 ათასი ლარი (გეგმა – 5 854 870.5 ათასი ლარი); საოპერაციო სალდო განისაზღვრა 616 674.7 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 618 457.8 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 899 417.3 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება – 849 254.7 ათასი ლარი. მათ შორის: არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვრა 170 000.0 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება – 189 820.3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 069 417.3 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება – 1 039 075.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა -282 742.6 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა -230 796.9 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების

კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2011 წლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელეები განისაზღვრა 7 569 732.2 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 6 766 277.9 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 803 454.3 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 7 469 033.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 7 459 279.5 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 6 742 296.7 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 716 982.8 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 99.9%, ხოლო გეგმის 98.5%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2011 წლის იანვარ-დეკემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 90.4%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 9.6%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

“საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელეებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: “შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2011 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 013 012.2 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 012 814.5 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 012 474.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2011 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 998 531.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 992 096.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 989 005.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის – 99%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2011 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 282 703.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 282 699.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 282 699.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის – 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 101 246.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (101 246.3 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 181 453.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (181 453.3 ათასი ლარი) 100%-ია.

“სუბსიდიების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2011 წლის გეგმამ შეადგინა 203 868.5 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 197 775.3 ათასი ლარი,

მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 196 746.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.5%-ს და გეგმის 96.5%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2011 წლის გეგმამ შეადგინა 1 121 971.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 117 001.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 117 555.4 ათასი ლარი) 100%-ს და საგეგმო მაჩვენებლის (1 121 971.9 ათასი ლარი) 99.6%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2011 წლის იანვარ-დეკემბერში სხვა ღონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 1 105 908.2 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (1 106 183.2 ათასი ლარი) 100%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2011 წლის იანვარ-დეკემბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 540 924.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 541 728.3 ათასი ლარი) 99.9%-ს და საგეგმო პარამეტრის (1 544 301.9 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად 2011 წლის გეგმით განესაზღვრა 214 051.7 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 213 985.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.97%-ია. საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 973 324.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (973 491.7 ათასი ლარი) და გეგმის (973 491.7 ათასი ლარი) 100%-ია. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 270 998.7 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 268 704.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (270 998.7 ათასი ლარი) 99.2% და ვალდებულების (269 195.7 ათასი ლარი) 99.8%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2011 წლის გეგმა განისაზღვრა 690 480.7 ათასი ლარით, იანვარ-დეკემბერში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 686 885.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 684 998.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.7%-ს და გეგმის 99.2%-ს შეადგენს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 391 175.9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 391 459.4 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2011 წლის გეგმამ შეადგინა 391 850.6 ათასი ლარი. გადახდამ შეადგინა ვალდებულების 99.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 99.8%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2011 წლის გეგმით განისაზღვრა 1 069 417.3 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 041 111.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 039 075.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.8%-ს და გეგმის 97.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 496 303.2 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 488 310.2 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (488 023.2 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 98.3%.

„ფინანსური აქტივების ოპერაციების კლასიფიკაციის“ შესაბამისად 2011 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 478 959.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 429 987.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 429 976.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 89.8%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2011 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 166 484.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა

შეადგინა 166 378.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 166 378.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 99.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 111 158.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (111 158.6 ათასი ლარი) 100%-ია;

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 55 219.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (55 220.3 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების საგვემო მაჩვენებელს გრანტების კუთხით აღემატებოდა: საქართველოს პარლამენტის პროექტი „ძლიერი პარლამენტი კონსოლიდირებულ დემოკრატიაში (UNDP) (კოდი 01 05 02, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 131.2 ათასი ლარი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროექტები: „ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისი პროექტები (კოდი 23 02 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 251.4 ათასი ლარი; “ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – მეორე ფაზა (kfw)” (კოდი 23 02 06, მუხლი „სუბსიდიები“) – 41.1 ათასი ლარი; “საწარმოთა განვითარების პროექტი” (კოდი 23 02 11 03, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 9 140.9 ათასი ლარი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს “ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა (kfw)” (კოდი 35 20 04, მუხლი „სუბსიდიები“) – 23.1 ათასი ლარი; საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (კოდი 36 06 06, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 2 346.1 ათასი ლარი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „ზემო სვანეთში სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (კოდი 24 20 03, მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 47.6 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტები: “განახლებადი ენერჯის განვითარების პროგრამა (kfw)” (კოდი 25 05 05 03, მუხლი „სუბსიდიები“) – 57.5 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა” (კოდი 25 05 05 13, მუხლი „სუბსიდიები“) – 2 906.8 ათასი ლარი; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „ს.ს.ი.პ. – სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ და მასში შემავალი ს.ს.ი.პ.-ები (კოდი 29 02 02, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 17.2 ათასი ლარი, მუხლი „საქონელი და მომსახურება“ – 41.5 ათასი ლარი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა (კოდი 32 12 01, მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 4.4 ათასი ლარი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის (კოდი 34 01, მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 85.8 ათასი ლარი; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებების პროგრამა” (კოდი 39 05, მუხლი „სუბსიდიები“) – 4.1 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო” (კოდი 48 00, მუხლი „საქონელი და მომსახურება“) – 6.4 ათასი ლარი.

დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების საგვემო მაჩვენებელს კრედიტების კუთხით აღემატებოდა: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტები „ქიპულეთის ახალი შემოვლითი გზა” (კოდი 25 04 02 09 01, მუხლი „სუბსიდიები“) – 58.2 ათასი ლარი, მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა” – 1 074.9 ათასი ლარი).

ზემოთაღნიშნული პროექტების ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, რომელთა ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეული ხარჯმა, მომავალში მისაღები გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 16 649.2 ათასი ლარი. მათ შორის:

– „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია” – 15 734.6 ათასი ლარი;

– „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაციის პროექტი დასავლეთ საქართველოში” – 914.6 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2012 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 18.8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი სამინისტროების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2011 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 6 862 924.9 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 816 347.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 829 531.9 ათასი ლარი) 99.3%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 310 780.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (318 536.4 ათასი ლარი) 97.6% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.1%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 288 041.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (288 164.6 ათასი ლარი) 100% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 15.9%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 1 104 150.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 106 555.7 ათასი ლარი) 99.8%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 14 578.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15 158.9 ათასი ლარი) 96.2%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2011 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 715 577.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 715 476.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.4%-ი. შეიარაღებული ძალების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 682 085.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (682 168.7 ათასი ლარი) 100%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2011 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 845 770.5 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 843 584.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 12.3%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 67 784.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (68 129.8 ათასი

ლარი) 99.5%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 612 753.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (613 493.1 ათასი ლარი) 99.9%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (66 175.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (67 114.2 ათასი ლარი) 98.6%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 96 871.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (97 033.5 ათასი ლარი) 99.8%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2011 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 921 943.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 895 482.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.1%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (52 170.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (52 659.7 ათასი ლარი) 99.1%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (30 933.1 ათასი ლარი), გეგმის (32 045.6 ათასი ლარი) 96.5% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 58 331.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 53 219.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.2%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 7 831.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (7 848.2 ათასი ლარი) 99.8%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 43 919.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 38 766.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.3%; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 604 194.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (591 700.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 97.9%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (142 230.9 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგემო მაჩვენებლის (149 015.3 ათასი ლარი) 95.4%; ტურიზმის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 54 698.9 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (52 996.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 96.9%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 21 391.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (21 662.9 ათასი ლარი) 98.7%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2011 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 26 244.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 24 679.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94%; გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1 300.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1 289.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.1%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრული იყო 10 110.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (9 924.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 98.2%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2011 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 371 906.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 362 528.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 5.3%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 27 911.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (27 655.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 99.1%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (100 374.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (101 859.0 ათასი ლარი) 98.5%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 53 935.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (59 440.9 ათასი ლარი) 90.7%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 172 868.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (174 298.3 ათასი ლარი) 99.2%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 156 514.2 ათასი ლარით, რაც 2011 წლის გეგმიური მაჩვენებლის – 157 626.7 ათასი ლარის

99.3%-ს შეადგენს. დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (48 138.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (48 704.6 ათასი ლარი) 98.8%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (58 216.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (58 759.0 ათასი ლარი) 99.1%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 45 427.1 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (45 423.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 100%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 4 735.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 736.0 ათასი ლარი) 100%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2011 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 570 253.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 564 920.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.1% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 8.2%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 392 083.6 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (392 968.3 ათასი ლარი) 99.8%; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 68 203.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (71 201.4 ათასი ლარი) 95.8%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები განათლების სფეროში დაფინანსდა 59 196.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (59 853.9 ათასი ლარი) 98.9%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2011 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1 449 299.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 447 898.0 ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 21.1%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 10 269.6 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (10 375.1 ათასი ლარი) 99%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 988 016.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 987 849.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 240 729.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (241 872.2 ათასი ლარი) 99.5%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 99 793.2 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (99 073.6 ათასი ლარი) 100.7%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 98 261.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (98 940.8 ათასი ლარი) 99.3%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 198 შემთხვევაში შეადგინა 49 289.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 49 022.6 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 267.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 140 შემთხვევაში შეადგინა 54 515.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 54 206.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2012 წლის პირველი იანვრისათვის აუთვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 309.0 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 112 შემთხვევაში შეადგინა 399 204.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 396 914.2 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებული თანხების მოცულობამ 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 2 290.4 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 19 605.5 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 19 499.6 ათასი ლარი, „გრანტების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 760.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 760.0 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 13 583.4 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 13 569.7 ათასი ლარი. „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 25 500.0 ათასი ლარი. აქედან: იუსტიციის სამინისტროს წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გამოეყო 24.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 24.6 ათასი ლარი); ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის „სხვა ხარჯების“ მუხლით გამოეყო – 21 375.2 ათასი ლარი; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს გამოეყო – 4 020.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 4 020.6 ათასი ლარი), ხოლო აუთვისებული დარჩა 79.6 ათასი ლარი. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საგარეო კრედიტორული დავალიანებების დაფარვის გეგმამ შეადგინა 350.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა – 350.0 ათასი ლარი.

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 010.0 ათასი ლარი. აქედან: „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში“ „ვალდებულებების კლების“

მუხლით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გამოეყო 197.4 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 197.4 ათასი ლარი), „სხვა ხარჯების” მუხლით – 52.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 52.1 ათასი ლარი); ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით „გრანტის” მუხლით გამოეყო 760.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 760.0 ათასი ლარი), ხოლო აუთვისებელი დარჩა 485 ლარი.

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა გაწეული ხარჯი (გეგმა – 1 699.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 687.3 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები შემდეგია: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 13 432.4 ათასი ლარი (გეგმა – 13 432.4 ათასი ლარი); საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა 3.8 ათასი ლარი (გეგმა – 4.2 ათასი ლარი); საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა 2.4 ათასი ლარი (გეგმა – 2.4 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 49.2 ათასი ლარი (გეგმა – 49.2 ათასი ლარი); ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების დასაფინანსებლად – 136.5 ათასი ლარი (გეგმა – 150.0 ათასი ლარი); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დასაფინანსებლად მიიმართა – 910.2 ათასი ლარი (გეგმა – 911.2 ათასი ლარი); სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 22.7 ათასი ლარი (გეგმა – 22.7 ათასი ლარი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა 3.7 ათასი ლარი (გეგმა – 3.7 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დასაფინანსებლად მიიმართა 47.8 ათასი ლარი (გეგმა – 47.8 ათასი ლარი); საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დასაფინანსებლად მიიმართა – 14.8 ათასი ლარი (გეგმა – 14.8 ათასი ლარი); საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის დასაფინანსებლად მიიმართა – 3.0 ათასი ლარი (გეგმა – 3.0 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 24.6 ათასი ლარი (გეგმა – 24.6 ათასი ლარი); საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 4.0 ათასი ლარი (გეგმა – 4.0 ათასი ლარი); პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურის დასაფინანსებლად მიიმართა – 31.8 ათასი ლარი (გეგმა – 31.8 ათასი ლარი); სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 3.3 ათასი ლარი (გეგმა – 3.3 ათასი ლარი); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 6.9 ათასი ლარი (გეგმა – 6.9 ათასი ლარი); საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრ „დელტას” დასაფინანსებლად მიიმართა – 5.4 ათასი ლარი (გეგმა – 5.4 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის” აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 120.1 ათასი ლარი (გეგმა – 128.0 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის” დასაფინანსებლად მიიმართა – 52.9 ათასი ლარი (გეგმა – 52.9 ათასი ლარი).

“წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის” ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 4 020.6 ათასი ლარი (გეგმა – 4 020.6 ათასი ლარი), რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2011 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.